საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბზიფი

ბზიფი, დაბა გაგრის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. ბზიფის მარჯვ. ნაპირას, გაგრა–სოხუმის გზატკეცილზე. ტერიტ. ორგანოს ცენტრი (დაბა ბ., სოფლები: ათიძთა, არასაძიხი, აყვარა, ბზიფთა, იფნარი, ძიხჩა). ზ. დ. 45 მ, გაგრიდან 14 კმ.

ბ-ში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი – გალავნით შემოზღუდული ადგილ. ფეოდალის ციხესიმაგრე, ტაძარი (მიეკუთვნება VIII–X სს. ძეგლთა ჯგუფს) და სხვა ნაგებობათა ნაშთები. გალავანს დატანებული აქვს კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე. ტაძარი ჯვაროვან-გუმბათოვანია, ინტერიერში გუმბათი 4 თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობა, აღმ-ით შვერილწახნაგოვანი აფსიდები აქვს. ფასადებს დეკორი ამკობს.

ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: Р ч е у л и ш в и л и Л. Д., Куполъная архитектура VIII–X веков в Абхазии, ТБ., 1988.